ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2017149

ნომერი: AR1325775

თარიღი : 10.07.2015

გაცემის თარიღი : 17.07.2015

გაცნობის თარიღი : 17.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 37 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ღარიბაშვილი პ/ნ 01024070907
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), გორგასლის ქ. 37–ში არსებულ შენობაზე, კიბის რეკონსტრუქციის და პანდუსის მოწყობის სამუშაოებს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის კიბის რეკონსტრუქციის და პანდუსის მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით N 01.18.04.006.001.02.503 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882009225760; 2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; 3. ფოტომონტაჟი და გენგეგმა; 4. სსიპ ქონების მართვის სააგნეტოს 10.07.15წ. № QN1319617 გადაწყვეტილება; 5. 12.06.15წ. 002/12062015 სს "ლიბერთი ბანკის" მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), გორგასლის ქ. 37–ში არსებულ შენობაზე, კიბის რეკონსტრუქციის და პანდუსის მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

სამუშაოების განხორციელებისას დაცული იქნეს სსიპ ქონების მართვის სააგნეტოს 10.07.15წ. № QN1319617 გადაწყვეტილების N2 დანართით გათვალისწინებული პირობები.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge